ბრძანება № 1-80

15 10 2021წ.

გორი

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 11 ოქტომბრის N6-42 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალის ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესის" საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი პროექტების შერჩევის მიზნით.

2. კონკურსი გამოცხადდეს შემდეგი მიმართულებების და რაოდენობების შესაბამისად:

ა) ჰუმანიტარული მეცნიერებები - დაფინანსებული იქნეს 1 პროექტი;

ბ) განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დაფინანსებული იქნეს 1 პროექტი;

გ) სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი - დაფინანსებული იქნეს 1 პროექტი.

3. პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი პროექტების შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო ვადები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) კონკურსანტების მიერ განცხადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა - 2021 წლის - 01 ნოემბერი - 2021 წლის 05 ნოემბერი;

ბ) პროექტის განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნა - 2021 წლის 08 ნოემბერი - 2021 წლის 10 ნოემბერი;

გ) კომისიის მიერ მიერ პროექტის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება - 2021 წლის 11 ნოემბერი - 2021 წლის 16 ნოემბერი;

დ) კონკურსის შედეგების გამოცხადება - 2021 წლის 17 ნოემბერი - 2021 წლის 18 ნოემბერი.

4. გამარჯვებული სამეცნიერო/კვლევითი პროექტი უნდა განხორციელდეს 2021-2022 სასწავლო წელს და მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

5. წარმოდგენილი სამეცნიერო/კვლევითი პროექტის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 3000 ლარს.

6. სამეცნიერო/კვლევითი პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნეს რექტორის სახელზე უნივერსიტეტის კანცელარიის მეშვეობით. პროექტს თან უნდა ერთვოდეს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 11 ოქტომბრის N6-42 დადგენილების დანართი 3-ის შესაბამისად შედგენილი საპროექტო განაცხადის ფორმა.

7. წინამდებარე ბრძანების გამოქვეყნება დაევალოს:

ა) ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე) - სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიას;

ბ) უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე - სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას.

8. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

9. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი